# სპორტ ინფო

ყოველდღიური სპორტული გაზეთი

№ 207(7056) 19 ოქტომბერი 2023 წ. ხუთშაბათი ფასი 50 თეთრი


## თორნიკე შენგელიას შესანიშნავი მატჩი და MVP ევროლიგაზე: 26 ქულა 27 წუთში

თოკო მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა


2 გვ.

ვირტუსი 87:76 ალბა

## მესიმ გუშინ პერუს დუბლი გაუკეთა და სანაკრებო მატჩებში 106 გოლი დაუგროვდა

ლეო სამხრეთამერიკული შესარჩევი ტურნირების საუკეთესო ბომბარდირი გახდა



პერუ 0:2 არგენტინა

## მამარდაშვილი ევრო-2024-ის საკვალიფიკაციოს ტურის სიმბოლურში მოხვდა



nakrebi.ge

საქართველოს ნაკრებისა და ესპანური „ვალენსიას" მეკარე გიორგი მამარდაშვილი ევრო-2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპის ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. იგი მე-8 ტურის სიმბოლურში Sofascore-მ დაასახელა.

კვიპროსის ნაკრებთან 4:0 მოგებულ მატჩში მამარდას თამაში 8,1 ქულით შეაფასეს. შეგახსენებთ, რომ მან რამდენიმე სეივი შეასრულა.

## ნეიმარმა მუხლის ჯვარედინი მყესები დაიზიანა და მენისკი გაიწყვიტა – იგი მინიმუმ 6 თვე ვერ ითამაშებს



მსოფლიოს შესარჩევებში ბრაზილიის ნაკრების 37-მატჩიანი რეკორდული წაუგებელი სერია შეწყდა

ურუგვაი 2:0 ბრაზილია

2 გვ.

## თსუ-მ გერმანიაში პირველი მატჩი 5 ქულით დათმო

ბიონიკსბერი 86:81 თსუ


2 გვ.

## საფრანგეთში ბენზემასთვის მოქალაქეობისა და ოქროს ბურთის ჩამორთმევა მოითხოვეს


8 გვ.

## ხვიჩა ნეაპოლში დაბრუნდა და გუნდთან ერთად ვარჯიში განაახლა

ხვიჩა კვარაცხელია სანაკრებო მატჩებით გამოწვეული პაუზის შემდეგ ნეაპოლში დაბრუნდა.




კვარამ „ნაპოლისთან" ერთად სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა. გუშინ, რუდი გარსიას გუნდის ვარჯიშს კლუბის პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისიც ესწრებოდა, რომელიც ფეხბურთელებს ესაუბრა და გუნდს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

„ნაპოლის" მომდევნო მატჩი სერია ა-ში 21 ოქტომბერს სტუმრად „ვერონასთან" ელის. გასულ ტურში კვარაცხელიას გუნდი „დიეგო მარადონას" არენაზე ფლორენციის „ფიორენტინასთან" 1:3 დამარცხდა და ცხადია, გულშემატკივრების თვალში რეაბილიტირება ჰაერივით სჭირდება. თუმცა, „ნაპოლის" მდგომარეობას ის ართულებს, რომ ვიქტორ ოსიმენი ტრავმირებულია და რამდენიმე შეხვედრას გამოტოვებს.

„ფიორენტინასთან" წაგების შემდეგ დაიწერა, რომ „ნაპოლიმ" გარსიას მდგომარეობის გამოსასწორებლად 3 მატჩი მისცა.

სერია ა-ში ჩავლილი 8 ტურის შემდეგ, იტალიის მოქმედი ჩემპიონი ცხრილში 14 ქულით მე-5 ადგილზე იმყოფება და ლიდერ „მილანს" 7 ქულა აშორებს.

## ბითაძის 9 ქულა და 4 მოხსნა ნიუ ორლეანთან

გოგა ბითაძის „ორლანდო მეჯიქმა" ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის პრესეზონის მატჩში „ნიუ ორლეან პელიკანსთან" 92:104 მარცხი განიცადა.



ქართველმა ცენტრმა მეორე ნახევარში ითამაშა და მოედანზე 12 წუთი გაატარა. გოგას აქტივში 9 ქულა, 4 მოხსნა და 2 პასი იყო. მან 3-დან 3 ორქულიანი და 2-დან 1 სამიანი ჩააგდო.

„ორლანდო მეჯიქი" მომდევნო მატჩს 21 ოქტომბერს ბრაზილიურ „ფლამენგოსთან" გამართავს, NBA-ს ახალი სეზონის პირველ მატჩში კი, 26 ოქტომბერს „ჰიუსტონ როკეტსს" უმასპინძლებს.

## კეინმა უემბლიზე 24 გოლი გაიტანა და ინგლისის ნაკრების რეკორდი დაამყარა

ჰარი კეინმა ლონდონის „უემბლის" არენაზე ინგლისსა და იტალიას შორის გამართულ მატჩში შედეგიანობის ახალი რეკორდი დაამყარა.

მატჩი კეინის გუნდმა 3:1 მოიგო. მან დუბლი შეასრულა და ინგლისის ნაკრების მაისურით „უემბლის" არენაზე გატანილი გოლების რაოდენობა 24-მდე გაზარდა. დიდი ხნის განმავლობაში რეკორდი „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდას ბობი ჩარლტონს ეკუთვნოდა (23).

შეგახსენებთ, რომ კეინი გასულ ზაფხულს ლონდონის „ტოტენჰემიდან" „ბაიერნში" გადავიდა. 30 წლის ინგლისელმა ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 7 მატჩში 8 გოლი გაიტანა და 4 საგოლე პასი შეასრულა.



## თორნიკე შენგელიას შესანიშნავი მატჩი და MVP ევროლიგაზე: 26 ქულა 27 წუთში

თორნიკე შენგელიას „ვირტუს ბოლონიამ" ევროლიგის მესამე ტურში ბერლინის „ალბა" 87:76 დაამარცხა. ქართველმა კალათბურთელმა ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა და მოედანზე საუკეთესო იყო. მან 27 წუთში 26 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი დააგროვა. თოკომ 9-დან 8 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი და 8-დან 7 საჯარიმო ჩააგდო. მისი სარგებლიანობის კოეფიციენტი 32-ს გაუტოლდა. 26 ქულით შენგელია მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე და MVP გახდა.

„ვირტუსი" 2 მოგებით და 1 მარცხით ცხრილში მე-7 ადგილზეა და მომდევნო მატჩს 20 ოქტომბერს „ცრვენა ზვეზდასთან" გამართავს.

## თსუ-მ გერმანიაში პირველი მატჩი 5 ქულით დათმო

საქართველოს ჩემპიონმა თსუ-მ ფიბა ევროპის თასის ჯგუფურ ეტაპზე პირველი მატჩი სტუმრად გერმანულ „გოტინგენთან" დაძაბულ ბრძოლაში, 81:86 დათმო.

კახა ჯინჭარაძემ ორმაგი დუბლი შეასრულა - 14 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი. 19 ქულა, 6 მოხსნა და 8 პასი ტაირი ბოიკინმა დააგროვა, 18 ქულა და 4 ქულა ჰქონდა ალექსანდრე ფევაძეს.

ჩვენ ჯგუფში მეორე შეხვედრაში იტალიურმა „ვარეზემ" 95:80 კვიპროსული „კერავნოსი" დაამარცხა.

თსუ მომდევნო მატჩს 25 ოქტომბერს თბილისში „კერავნოსთან" გამართავს.

## ნეიმარმა მუხლის ჯვარედინი მყესები დაიზიანა და მენისკი გაიწყვიტა – იგი მინიმუმ 6 თვე ვერ ითამაშებს

მსოფლიო-2026-ის საკვალიფიკაციო შეხვედრაში ბრაზილიის ნაკრები ურუგვაისთან 0:2 დამარცხდა. ამით, მსოფლიოს შესარჩევებში ბრაზილიელთა 37-მატჩიანი რეკორდული წაუგებელი სერია დასრულდა.

მატჩის პირველი ტაიმის მიწურულს ბრაზილიის ნაკრების ლიდერი ნეიმარი მოედანზე უხერხულად დაეცა და თამაში ვეღარ გააგრძელა. ატირებული ფეხბურთელი მოედნიდან საკაცით გაიყვანეს, მოგვიანებით კი, მისმა კლუბმა, „ალ-ჰილალმა" განცხადება გაავრცელა.



სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ ნეიმარის დაზიანება ძალზე მძიმეა. მან მარცხენა მუხლის წინა ჯვარედინი მყესები დაიზიანა და მენისკი გაიწყვიტა. 31 წლის ფორვარდს ოპერაცია ელის და მინიმუმ 6 თვე ვერ ითამაშებს.

## ხოჭოლავა 6-თვიანი პაუზის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა

ქართველმა მცველმა დავით ხოჭოლავამ მძიმე ტრავმებით გამოწვეული 6-თვიანი პაუზის შემდეგ, პირველად ითამაშა. დანიური „კოპენჰაგენის" 30 წლის ფეხბურთელი „მიდტიულანდთან" საკონტროლო მატჩში გავიდა მოედანზე. ეს 4 აპრილის შემდეგ მისი პირველი შეხვედრაა.

შეგახსენებთ, რომ ხოჭოლავამ ფეხზე ოპერაცია გაიკეთა, მოგვიანებით კი, მეორე ოპერაცია მეორე ფეხზე დასჭირდა. საქართველოს ნაკრებში დათიმ ბოლოს 2022 წლის სექტემბერში გიბრალტართან ითამაშა.

– დაბრუნებისთვის დიდი ხნის განმავლობაში ვემზადებოდი და ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი დასრულდა. მთავარია, რომ ტკივილები აღარ მაწუხებს. მატჩისთვის მთელი კვირა ვემზადებოდი და ნორმალურად დაძინებასაც კი ვერ ვახერხებდი, ვღელავდი. მართალია, საუკეთესო ფორმაში არ ვარ, მაგრამ რაც მთავარია დავბრუნდი და ბევრს ვიშრომებ, რათა ფორმა რაც შეიძლება სწრაფად აღვიდგინო, – განუცხადა ხოჭოლავამ „კოპენჰაგენის" ვებ-გვერდს.

# მესი სამხრეთამერიკული შესარჩევი ტურნირების საუკეთესო ბომბარდირი გახდა

...არგენტინა პეპის ბარსელონას, ისტორიაში საუკეთესო გუნდის დონესთან ძალზე ახლოსაა...




არგენტინის ნაკრებმა მსოფლიო-2026-ის საკვალიფიკაციო ეტაპის მე-4 ტურში სტუმრად პერუ ლიონელ მესის დუბლით 2:0 დაამარცხა.

ამრიგად, 36 წლის ფეხბურთელი სამხრეთამერიკული შესარჩევი ტურნირების საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მან მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე არგენტინის ნაკრების მაისურით 31 გოლი გაიტანა. მეორე ადგილზე „ბარსელონაში" მესის ყოფილი თანაკლუბელი, ურუგვაის ნაკრების ფორვარდი ლუის სუარესია (29).

მესის ნაკრებში დებიუტი 2005 წლის 17 აგვისტოს ჰქონდა. 18 წლის განმავლობაში მან ეროვნულში 178 მატჩი ჩაატარა, 106 გოლი გაიტანა და 56 საგოლე პასი შეასრულა. ნაკრებთან ერთად მესიმ კოპა ამერიკა და მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დუბლის შემდეგ, ეროვნული ნაკრებების საუკეთესო ბომბარდირთა სიაში მესი ირანელ ალი დაეის 3 გოლით, კრიშტიანო რონალდუს კი, 21-ით ჩამორჩება.

პერუსთან გამარჯვების შემდეგ, ლეომ ჟურნალისტებთან ისაუბრა:

– არგენტინის ამჟამინდელი ფორმაციის ნაკრები ძალზე შთამბეჭდავია. ის იზრდება და სულ უფრო უკეთესი ხდება. თუ ჩვენ ნაკრებს პეპ გვარდიოლას „ბარსელონას" შევადარებთ, რომელიც ისტორიაში საუკეთესო გუნდი იყო, ცხადია, ეს ცოტა თამამი შედარებაა, მაგრამ ძალზე ახლოს ვართ იმ „ბარსას" დონესთან. ჩვენ ხომ კოპა ამერიკა და მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგეთ. საუცხოო ფეხბურთელები გვყავს. ვინც არ უნდა ითამაშოს შემადგენლობაში, თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ თქვათ, რომ ეს არგენტინაა, რადგან ძალზე მკვეთრად გამოკვეთილი სტილი გაგვაჩნია და ეს მოგვწონს. იმედი ვიქონიოთ, რომ ამ გზით სვლას განვაგრძობთ...

– მას შემდეგ, რაც ბრაზილიაში კოპა ამერიკა მოვიგეთ, უფრო თავისუფლად ავთამაშდით და გავიზარდეთ. მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ კი, ყველაფერი კიდევ უფრო მარტივად გამოგვდის. სადაც არ უნდა ვთამაშობდეთ, ყოველთვის მთავარი გმირები ვართ, გვსურს ბურთს ვაკონტროლებდეთ. თავს ძალზე კარგად ვგრძნობთ და თამაშისგან სიამოვნებას ვიღებთ...

– თუ გასახდელში კარგი ატმოსფეროა, ყველაფერი გაცილებით მარტივია. უკვე დიდი ხანია ვაჩვენებთ, რომ ეს საუცხოო გუნდია. იმის მიუხედავად, რომ ამ ახალგაზრდა ბიჭებმა ყველაფერი მოიგეს, შეჩერებას არ აპირებენ და სურთ ასე განაგრძონ. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, მთავარმა მწვრთნელმა გვითხრა, რომ ყველაფერს ნულიდან ვიწყებთ, ხოლო როდესაც შენ იმარჯვებ, მწვერვალზე დარჩენა კიდევ უფრო რთული ხდება, – აღნიშნა მესიმ.

მან ასევე, ეროვნულ გუნდში და ზოგადად, თავის უახლოეს გეგმებზე ისაუბრა:

– ახლა ვივარჯიშებ და შევეცდები, რაც შეიძლება კარგად მოვემზადო ნოემბერში ურუგვაისა და ბრაზილიასთან მატჩებისთვის. შემდეგ, შვებულებას არგენტინაში გავატარებ. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც გაცილებით მეტი დრო მექნება.. სულიერად დავისვენებ და ჩემი ხალხის გარემოცვაში ვიქნები. იჯარით წასვლას არსად ვაპირებ. იანვარში „ინტერ მაიამიში" წინასასეზონო მზადებას ნულიდან დავიწყებ.

## საფრანგეთის ლიგა 1-ის 10 ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელიდან 9 პსჟ-ში თამაშობს

ინტერნეტ-პორტალმა „ტრანსფერმარკტმა" საფრანგეთის ლიგა 1-ის 10 ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელის სია გამოაქვეყნა.

ბუნებრივია, ამ ჩამონათვალს სათავეში პსჟ-ს ვარსკვლავი კილიან მბაპე უდგას, რომლის ფასიც 180 მილიონი ევროა. თუმცა, ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ტოპ-ათეულის 9 ფეხბურთელი პსჟ-ს ღირსებას იცავს.

1. **კილიან მბაპე** (პსჟ) - 180 მილიონი ევრო; **2. რანდალ კოლო მუანი** (პსჟ) - 80 მლნ; **3. ნუნუ მენდეში** (პსჟ) - 65 მლნ; **4. აშრაფ ჰაკიმი** (პსჟ) - 65 მლნ; **5. მარკინიოსი** (პსჟ) - 65 მლნ; **6. ჯონათან დევიდი** (ლილი) - 60 მლნ; **7. უსმან დემბელე** (პსჟ) - 60 მლნ; **8. მანუელ უგარტე** (პსჟ) - 55 მლნ; **9. უორენ ზაირ-ემერი** (პსჟ) - 50 მლნ; **10. გონსალო რამუში** (პსჟ) - 50 მლნ



## რეალი სანაკრებო მატჩებით უკმაყოფილოა: ვინისიუსი, როდრიგო, ვალვერდე და რუდიგერი ვარჯიშს სევილიასთან მატჩის წინა დღეს განაახლებენ

მადრიდის „რეალი" სანაკრებო მატჩებით გამოწვეული პაუზით უკიდურესად უკმაყოფილოა.

ვინისიუს ჟუნიორი, როდრიგო, ფედერიკო ვალვერდე და ანტონიო რუდიგერი ვარჯიშს მხოლოდ ხვალიდან განაახლებენ, შაბათს კი, „რეალს" ლა ლიგის მორიგ ტურში სტუმრად „სევილიასთან" მატჩი ელის.

როგორც ესპანური As-ი წერს, „სამეფო კლუბს" ესმის სანაკრებო მატჩების მნიშვნელობა, მაგრამ მიაჩნია, რომ ეს შეხვედრები საკლუბო კალენდართან უნდა იყოს მიბმული და არა პირიქით, რამდენადაც სწორედ კლუბები უხდიან ფეხბურთელებს ხელფასებს და ფიზიკური პრობლემების წარმოქმნის გამო, კლუბებივე ზარალდებიან.



# ნიკოლო ფაჯოლი: ტონალიმ არალეგალურ ტოტალიზატორზე დარეგისტრირება მირჩია და მარწმუნებდა, რომ კვალი არ დარჩებოდა

## ...არალეგალურ საიტებს 3 მილიონს არ გადავუხდი, რადგან ისინი კანონს არღვევენ...



ტურინის „იუვენტუსის" ნახევარმცველმა ნიკოლო ფაჯოლიმ არალეგალური ფსონების გამო მის 7-თვიან დისკვალიფიკაციაზე კომენტარი გააკეთა.

მისი თქმით, არალეგალურ ბუკმეკერზე „მილანის" ყოფილი და ამჟამად „ნიუკასლის" ფეხბურთელ სანდრო ტონალის რჩევით დარეგისტრირდა, რომელსაც ასევე ემუქრება დისკვალიფიკაცია.

– ვფიქრობდი, ბოდიშის მოხდით დამეწყო „იუვენტუსის" ფანებისა და ფეხბურთის ყველა გულშემატკივრის წინაშე ჩემი შეცდომის გამო, მაგრამ ჩემთვის შოკისმომგვრელია გაზეთებში გავრცელებული ცრუ ისტორიები. ეს მხოლოდ ჩემ გასაშავებლად კეთდება...

– ეს 2021 წელს მოხდა, როდესაც იტალიის ახალგაზრდული ნაკრების განკარგულებაში ვიყავით. ვხედავდი, როგორ თამაშობდა ტონალი ფსონებზე და ვკითხე, რას აკეთებდა. მან მითხრა, რომ მეც შემიძლია იგივეს გაკეთება. სანდრო მარწმუნებდა, რომ ეს არანაირ კვალს დატოვებდა და ანგარიშის გახსნა მირჩია. ჩემი პირველი ფსონები ჩოგბურთზე გავაკეთე, შემდეგ კი, ფეხბურთზე. სხვა არალეგალურ პლატფორმებსაც ვიყენებდი, მაგრამ ყველას სახელწოდება აღარც კი მახსოვს, რადგან მათ ყოველ თვე ცვლიდნენ...

– ფსონების გაკეთება 2021 წლის ზაფხულში დავიწყე. არასდროს დავინტერესებულვარ, ლეგალური იყო თუ არალეგალური ესა თუ ის პლატფორმა. განსხვავება ის იყო, რომ არალეგალურ პლატფორმებზე წინასწარ გადახდის გარეშე თამაში შემეძლო. უბრალოდ, დრო გამყავდა...

– წლის განმავლობაში, ძირითადად ჩოგბურთზე ვდებდი ფსონებს. 2022 წლის იანვრიდან დიდი ვალების გამო დეპრესიაში ვიყავი, იმავე წლის სექტემბრიდან კი, დიდი თანხების ფეხბურთზე დადება დავიწყე. ასე ვცდილობდი ვალებიდან ამოსვლას...

– რაც დრო გადიოდა, მით უფრო ვეფლობოდი ვალებში. მხოლოდ ვალების გასტუმრებაზე ვფიქრობდი. საუბარი იმდენად დიდ დავალიანებაზე იყო, რომ მოგებითაც ვერ გავისტუმრებდი. ღამეები არ მეძინა. საიტის წარმომადგენლები ფეხების დამტვრევით მემუქრებოდნენ, ჩემმა ვალებმა 250 ათას ევროს მიაღწია და მუდმივად იზრდებოდა. გასტუმრება მეგობრებისგან ნასესხები ფულით ვცადე. ყველა ვალის გადახდას ვაპირებ, მაგრამ არ დავუბრუნებ 3 მილიონ ევროს არალეგალურ საიტებს, რადგან ისინიც არღვევენ კანონს. ფსონების დადება შევწყვიტე და მკურნალობის პროცესის გაგრძელებას ვაპირებ, – ამბობს ფაჯოლი.

# ტონალიმ აღიარა, რომ ფსონებს მილანის მატჩებზეც აკეთებდა

## ფეხბურთელს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება



„ნიუკასლ იუნაიტედისა" და იტალიის ნაკრების ნახევარმცველმა სანდრო ტონალიმ აღიარა, რომ „მილანის" მატჩებზე ფსონებს დებდა იმ პერიოდში, როდესაც „როსონერის" ფეხბურთელი იყო. ამის შესახებ „ლა გაძეტა დელო სპორტი" იუწყება.

ტონალი ფსონებს „მილანის" მხოლოდ იმ შეხვედრებზე აკეთებდა, რომლებშიც მოედანზე არ გადიოდა. იგი გუნდის მოგებაზე დებდა. შესაბამისად, მისი ფსონები ვერანაირად მოახდენდა ზეგავლენას მოედანზე მის თამაშზე, რაც მოცემულ საქმეში შემამსუბუქებელი გარემოებაა.

სანდროს თავისი გუნდის მატჩებზე ფსონების გაკეთებისთვის 3 წელზე მეტი ხანგრძლივობის დისკვალიფიკაცია ემუქრებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ ფეხბურთელმა „იუვენტუსის" ნახევარმცველ ნიკოლო ფაჯოლის მსგავსად, გამოძიებასთან თანამშრომლობის გზა აირჩია, შეიძლება, უფრო მსუბუქი სასჯელი მიიღოს. სავარაუდოდ, ტონალის ერთწლიანს აკმარებენ.

ადრე, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ტონალი და ნიკოლო ძანიოლო არალეგალური ფსონების გამო შეიძლება დასაჯონ. კერძოდ, წერდნენ, რომ ჟურნალისტი ფაბრიციო კორონა იმის დამამტკიცებელ მონაცემებს ფლობს, რომ ეს ფეხბურთელები მართლაც აკეთებდნენ ფსონებს. ჟურნალისტმა ხსენებული მასალები სამართალდამცავ ორგანოებს გადასცა.

# ჯუდ ბელინგემი: მსურს რეალში 10-15 წელი დავრჩე

„რეალის" ნახევარმცველმა ჯუდ ბელინგემმა განაცხადა, რომ მადრიდულ კლუბში დიდი ხნით დარჩენის იმედი აქვს.

– მსურს, „რეალში" მომდევნო 10-15 წელი გავატარო. ეს ის ადგილია, სადაც ყოფნა მინდა. მომწონს „რეალში", – აღნიშნა ინგლისელმა ფეხბურთელმა.

20 წლის ბელინგემი „რეალში" გასულ ზაფხულს გერმანული „დორტმუნდიდან" გადავიდა და ნამდვილი სენსაცია მოახდინა. ლა ლიგაში ჩატარებულ 8 მატჩში ნახევარმცველმა 8 გოლი გაიტანა და 2 საგოლე პასი შეასრულა.



# ლივერპულმა რობერტსონი შეიძლება 4 თვით დაკარგოს

მერსისაიდული „ლივერპულის" მცველმა ენდრიუ რობერტსონმა ტრავმის გამო, შეიძლება 3-4 თვე ვერ ითამაშოს.

შოტლანდიის ნაკრების ფეხბურთელი ესპანეთთან ევრო-2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში (0:2) დაშავდა. იგი პირველი ტაიმის მიწურულს შეცვალეს.

„თაიმსის" ინფორმაციით, ინგლისური კლუბი სამედიცინო გამოკვლევის შედეგებს ელოდება, რათა გაიგოს, სჭირდება თუ



არა ფეხბურთელს ქირურგიული ჩარევა. თუ რობერტსონი ოპერაციას გაიკეთებს, რეაბილიტაციას 3-დან 4 თვემდე დასჭირდება.

მიმდინარე სეზონში რობერტსონმა ინგლისის პრემიერ-ლიგაში ჩატარებულ 8 მატჩში 1 გოლი გაიტანა.

# Bild: ნაგელსმანმა ნოიერს კაპიტნის სამკლავური ჩამოართვა და ევრო-2024-ზე ბუნდესნაკრებს გიუნდოგანი უკაპიტნებს

**...არასდროს გამიწვრთნია გუნდი, რომელიც რაღაცას ასე სწრაფად აკეთებს...**



გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იულიან ნაგელსმანმა „ბაიერნის" მეკარე მანუელ ნოიერს ეროვნული გუნდის კაპიტნის სამკლავური ჩამოართვა. ევრო-2024-ზე გერმანიას „ბარსელონას" ნახევარმცველი ილქაი გიუნდოგანი უკაპიტნებს. ამის შესახებ გამოცემა Bild-ი იუწყება.

ინფორმაციაში ნათქვამია, რომ ნოიერს გერმანიის ნაკრების ძირითადი მეკარეობის გარანტია უკვე აღარ აქვს და „ბაიერნის" სასტარტოში დაბრუნების შემდეგ, გერმანიის ნაკრებში ადგილის მოსაპოვებლად ბრძოლა მოუწევს.

გუშინ, გერმანიამ ამხანაგურ მატჩში მექსიკის ნაკრებთან 2:2 ითამაშა. შეხვედრის შემდეგ, ნაგელსმანმა კომენტარი გააკეთა.

— არის ბევრი რამ, რისი გაკეთებაც იმაზე უკეთ შეგვიძლია, ვიდრე დღეს ვაკეთებდით. თუ ზომებს მივიღებთ, დარწმუნებული ვარ, უახლოეს თვეებში სერიოზულად მოვუმატებთ. არასდროს გამიწვრთნია გუნდი, რომელიც რაღაცას ასე სწრაფად აკეთებს, — აღნიშნა ნაგელსმანმა.

შეგახსენებთ, რომ იულიანმა გერმანიის ნაკრები სექტემბერში ჩაიბარა. 36 წლის სპეციალისტის თავკაცობით გერმანიამ მექსიკამდე აშშ-სთან ამხანაგური მატჩი გამართა და 3:1 გაიმარჯვა. ნოემბერში გერმანელებს კიდევ 2 ამხანაგური შეხვედრა აქვთ დაგეგმილი. 18 ნოემბერს ნაგელსმანის გუნდი თურქეთს შეხვდება, 21-ში კი, ავსტრიას.

# დი მარია: ერთადერთი, რისთვისაც მადლობელი ვარ, ერთ კლუბში მესისთან ერთად თამაშია

**...სანაკრებო კარიერას კოპა ამერიკის შემდეგ დავასრულებ...**

ლისაბონის „ბენფიკასა" და არგენტინის ნაკრების ნახევარმცველმა ანხელ დი მარიამ გაიხსენა სიტყვები, რომელიც ლიონელ მესის უთხრა:

— ერთხელ, ლიონელ მესის გადავეხვიე, როდესაც პსჟ-ში ვთამაშობდით და ვუთხარი: „ერთადერთი, რისთვისაც მადლობელი ვარ, ისაა, რომ ერთ კლუბში შენთან ერთად თამაში მოვახერხე, ყოველდღე შენთან შეხვედრის შესაძლებლობა მქონდა", — ამბობს დი მარია.

ანხელმა არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ 134 მატჩში 29 გოლი გაიტანა. ეროვნულ გუნდთან ერთად მან 2021 წელს კოპა ამერიკა მოიგო, 2022 წელს კი, მსოფლიოს ჩემპიონატი. 35 წლის ნახევარმცველის თქმით, უკვე იცის, როდის დაასრულებს სანაკრებო კარიერას:

— არგენტინის ნაკრებს 2024 წლის კოპა ამერიკის შემდეგ დავტოვებ. ეს უკვე გადაწყვეტილია, — აღნიშნა დი მარიამ.




# ნიცამ ატალი ებრაელებისთვის შავი დღის მოწყობის მოწოდებების გამო გუნდიდან მოკვეთა

ფრანგულმა „ნიცამ" გუნდის მცველ იუსეფ ატალის მიერ პალესტინის საჯარო მხარდაჭერასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გაავრცელა. ფეხბურთელი „ებრაელებისთვის შავი დღის მოწყობისკენ" მოუწოდებდა.



„როგორც კი იუსეფ ატალი ალჟირის ნაკრებიდან დაბრუნდა, მას „ნიცას" ხელმძღვანელობა დაუკავშირდა. კლუბს ესმის, რომ ფეხბურთელმა შეცდომა აღიარა და სწრაფად წაშალა თავისი პუბლიკაცია. ამის მიუხედავად, პუბლიკაციის ხასიათისა და სერიოზულობის გათვალისწინებით, კლუბმა დაუყოვნებლივი სადისციპლინო ზომები მიიღო. ატალი გუნდიდან მოკვეთილია. ჩვენი პრინციპები და რეპუტაცია პირველ ადგილზე დგას" — ნათქვამია განცხადებაში.

# ალან შირერი ვან დეიკის სიტყვებზე მძიმე კალენდრის შესახებ: სრული ბოდვაა, ყველაფერი საუკეთესო გაქვთ, ხელფასების ჩათვლით

ინგლისური ფეხბურთის ლეგენდა ალან შირერი „ლივერპულის" მცველ ვირჯილ ვან დეიკის სიტყვებს გამოეხმაურა.

ახლახან, ნიდერლანდელმა ფეხბურთელმა მძიმე კალენდრის გამო დაიჩივლა.

— ფეხბურთელები ზედმეტად ბევრს თამაშობენ? ეს სრული ბოდვაა. თქვენ გყავთ ყველაზე დიდი შემადგენლობები, ვიდრე ოდესმე ჰყოლიათ, გყავთ უამრავი სათადარიგო ფეხბურთელი. ბოლოს და ბოლოს გიხდიან ისტორიაში ყველაზე მაღალ ხელფასებს. გყავთ საუკეთესო ფიზიოთერაპევტები, გაქვთ საუკეთესო ტექნოლოგიები, დიახ, ყველაფერი საუკეთესო თქვენ გემსახურებათ. და დალახვროს ეშმაკმა, თქვენ ზედმეტად ბევრს თამაშობთ?! — აღნიშნა შირერმა.

გასულ სეზონში ვან დეიკმა ყველა დონეზე საერთო ჯამში 56 მატჩი ჩაატარა.



# ლუჩანო სპალეტი ინგლისთან მარცხზე: როდესაც ასეთი დონის მეტოქეს ამდენის უფლებას მისცემ, დაისჯები

იტალიის ნაკრების თავკაცმა ლუჩანო სპალეტიმ ევრო-2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე ინგლისთან გასვლით მატჩში განცდილი 1:3 მარცხის შემდეგ, კომენტარი გააკეთა:

— ვფიქრობ, სწორი განწყობით ვთამაშობდით მთელი 90 წუთის განმავლობაში. ტაბლოზე გამოსახული ანგარიში ჩვენზე დამატებით წნეხს ახდენდა და კონტრშეტევები გაგვეპარა. პრინციპში, გარკვეული რაოდენობის კონტრშეტევები პრობლემა არ უნდა იყოს, თუ ჩვენ იმ ევროპული ფეხბურთის დონის ჩვენება გვსურს, რომელსაც უძლიერესი კლუბები აჩვენებენ...

— მთლიანობაში, კარგი თამაში იყო. ზოგიერთი რამ ჩვენი შესრულებით ძალზე კარგ დონეზე იყო. თუმცა, მეტოქეს იმის უფლებას ვაძლევდით, რისი მიცემაც ასეთი დონის გუნდისთვის დაუშვებელია. ინგლისის ნაკრები ასეთებისთვის აუცილებლად დაგსჯის, — განაცხადა სპალეტიმ.



# 2000 წელს ბარსელონადან რეალში ლუიშ ფიგუს გადასვლა ისტორიაში ყველაზე მოულოდნელ ტრანსფერად დაასახელეს

FourFourTwo-მ ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მოულოდნელი ტრანსფერების რეიტინგი გამოაქვეყნა.

სიას სათავეში 2000 წელს კატალონიური „ბარსელონას" ერთ-ერთ ლიდერ ლუიშ ფიგუს მადრიდის „რეალში" გადასვლა ჩაუდგა. როგორც ცნობილია, ეს მართლაც გრანდიოზული რეზონანსის ტრანსფერი იყო, რომლის ექოც დიდხანს არ მიჩუმებულა.

1. **ლუიშ ფიგუ** (2000 წელი, ბარსელონადან რეალში); 2. **სოლ კემპბელი** (2001 წელი, ტოტენჰემიდან არსენალში); 3. **ნეიმარი** (2017 წელი, ბარსელონადან პსჟ-ში); 4. **კარლოს ტევესი და ხავიერ მასკერანო** (2006 წელი, კორინთიანსიდან ვესტ ჰემში); 5. **ერიკ კანტონა** (1992 წელი, ლიდსიდან მანჩესტერ იუნაიტედში); 6. **რობერტო ბაჯო** (1990 წელი, ფიორენტინადან იუვენტუსში); 7. **კევინ კიგანი** (1980 წელი, ჰამბურგიდან საუთჰემპტონში); 8. **ლუთერ ბლისეტი** (1983 წელი, უოტფორდიდან მილანში), 9. **ენდი კოული** (1995 წელი, ნიუკასლიდან მანჩესტერ იუნაიტედში); 10. **რიკარდო ვილია და ოსვალდო არდილესი** (1978 წელი, რასინგიდან და ურაკანიდან ტოტენჰემში); 11. **მო ჯონსტონი** (1989 წელი, ნანტიდან რეინჯერსში); 12. **ალან სიმონსენი** (1982 წელი, ბარსელონადან ჩარლტონში); 13. **რობინიო** (2008 წელი, რეალიდან მანჩესტერ სიტიში); 14. **ფერნანდო ტორესი** (2011 წელი, ლივერპულიდან ჩელსიში); 15. **იოჰან კრუიფი** (1983 წელი, აიაქსიდან ფეიენოორდში); 16. **კარლოს ტევესი** (2009 წელი, მანჩესტერ იუნაიტედიდან მანჩესტერ სიტიში); 17. **კრიშტიანო რონალდუ** (2018 წელი, რეალიდან იუვენტუსში), 18. **რობინ ვან პერსი** (2012 წელი, არსენალიდან მანჩესტერ იუნაიტედში); 19. **ანდრეას მიულერი** (2000 წელი, დორტმუნდიდან შალკეში); 20. **დევიდ ბექჰემი** (2007 წელი, რეალიდან ლოს ანჯელეს გელექსიში); 21. **ჟულიენ ფობერი** (2009 წელი, ვესტ ჰემიდან რეალში); 22. **ტომი ლოუტონი** (1946 წელი, ჩელსიდან ნოთს ქაუნთიში); 23. **გაბრიელ ბატისტუტა** (1990 წელი, რივერ პლეიტიდან ბოკა ხუნიორსში); 24. **ჟუნინიო** (1995 წელი, სან პაულუდან მიდლსბროში); 25. **მარიო გიოტცე** (2013 წელი, დორტმუნდიდან ბაიერნში); 26. **ლიონელ მესი** (2021 წელი, ბარსელონადან პსჟ-ში); 27. **ეშლი კოული** (2006 წელი, არსენალიდან ჩელსიში); 28. **ჯეი ჯეი ოკოჩა** (2002 წელი, პსჟ-დან ბოლტონში); 29. **ტომას გრავესენი** (2005 წელი, ევერტონიდან რეალში), 30. **სამუელ ეტოო** (2011 წელი, ინტერიდან ანჟიში), 31. **ატილიო ლომბარდო** (1996 წელი, იუვენტუსიდან კრისტალ პალასში).



# ბარსელონას პრეზიდენტი ლაპორტა ნეგრეირას საქმეზე ბრალდებულის სტატუსს მიიღებს

„ბარსელონას" მოქმედი პრეზიდენტი ჟოან ლაპორტა ესპანეთის სამეფო ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომისიის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, ხოსე ნეგრეირას გახმაურებულ საქმეზე ბრალდებულის სტატუსს მიიღებს. ამის შესახებ ესპანური As-ი იუწყება.



ცნობაში ნათქვამია, რომ ნეგრეირას საქმის მოსამართლის განჩინებით, ბრალდებულის სტატუსი არა მარტო ლაპორტაზე, არამედ „ბარსელონას" სხვა ჩინოვნიკებზეც უნდა გავრცელდეს.

როგორც ცნობილია, ახლახან „ბარსელონამ" ნეგრეირას საქმეზე ოფიციალური განცხადება გაავრცელა და აღნიშნა, რომ კლუბი თავისი პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, საკუთარ ინტერესებს იურისტების გზით დაიცავს.

# საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების 22 წლის წევრი ბექა ნიფიანი გარდაიცვალა

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრი, 22 წლის ბექა ნიფიანი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული ტრავმებით კლინიკაში გარდაიცვალა.

ტრაგედია მარნეულში გასულ კვირაში მოხდა. ექიმებმა ახალგაზრდა სპორტსმენის გადარჩენა ვერ მოახერხეს.



ბექა ნიფიანი 2017 წელს უნგრეთში გამართული ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ვერცხლის პრიზიორი იყო. 2018 წელს იგი ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონი გახდა, ერთი წლის შემდეგ კი, მესამე ადგილი დაიკავა. მას საქართველოს სახელით პარიზისა და თბილისის გრანდ სლემებზე უქოლავია.

„სპორტ ინფოს" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს.

# ფაბიო კაპელო: როდესაც რეალს ვწვრთნიდი, გასახდელში ალკოჰოლის სუნი იდგა

## ვან ნისტელროიმ იტალიელი სპეციალისტის სიტყვები უარყო

ცნობილმა იტალიელმა სპეციალისტმა ფაბიო კაპელომ იმ სადისციპლინო პრობლემებზე ისაუბრა, რომელსაც მადრიდის „რეალში" მეორედ დანიშვნის შემდეგ წააწყდა.



– ერთხელ, ჩემთან ვან ნისტელროი მოვიდა და მითხრა, რომ გასახდელში ალკოჰოლის სუნი იდგა. მართლაც ასე იყო...

– რაც შეეხება რონალდოს, მას დროსტარება უყვარდა და თანაკლუბელებს ეპატიჟებოდა. ცნობილია, რომ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს რონალდო 82 კილოგრამს იწონიდა. ჩემ დროს, მე მას გახდომა ვურჩიე, მან კი, 92,5 კილოგრამამდე მოიმატა, – აღნიშნა კაპელომ, რომელიც „რეალს" 1996-1997 და 2006-2007 წლებში ხელმძღვანელობდა.

კაპელოს სიტყვებს ვან ნისტელროი გამოეხმაურა:

– მსურს უარვყო ფაბიო კაპელოს ზოგიერთი გამონათქვამი. არასდროს მითქვამს, რომ „რეალის" გასახდელში ალკოჰოლის სუნი იდგა. ეს ძალზე პროფესიონალური გუნდი იყო, – განაცხადა ნიდერლანდელმა.


## მკურნალობა მამაკაცებისთვის:

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი შარდვისას, ვირუსული და ვენერიული დაინფიცირება, უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა ბავშვებსა და მოზრდილებში, ასევე ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენებების გარეშე 100%-იანი გარანტიით.

ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65

ექიმი მზია

მის: აღმაშენებლის №154 „მწვანე ოფისი"

# ჩელსი იანვარში ოსიმენის შეძენას შეეცდება

ლონდონის „ჩელსი“. „ნაპოლის“ ფორვარდ ვიქტორ ოსიმენის მიმართ ინტერესს კვლავ ავლენს და ხვიჩა კვარაცხელიას თანაგუნდელის იანვრის სატრანსფერო პერიოდში შეძენას გეგმავს. ამის შესახებ ინფორმაციას ბრიტანული მედია ავრცელებს.

ცნობაში ნათქვამია, რომ ოსიმენმა თავის წარმომადგენლებს სწორედ „ჩელსიში“ გადასვლის მომზადება სთხოვა, რამდენადაც „ნაპოლიში“ რუდი გარსიას ხელმძღვანელობით თამაშს აღარ აპირებს. სიტუაცია შეიძლება, მხოლოდ ფრანგი სპეციალისტის გადაყენებამ შეცვალოს.

შეგახსენებთ, რომ ნიგერიელი ფეხბურთელი ამჟამად ტრავმირებულია და „ნაპოლის“ რამდენიმე მატჩში ვერ დაეხმარება. მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 10 მატჩში მან 6 გოლი გაიტანა.




# კელვინ ფილიპსი: თამაში ყველას სურს და გამონაკლისი არც მე ვარ

„მანჩესტერ სიტის“ ნახევარმცველმა კელვინ ფილიპსმა აღნიშნა, რომ პეპ გვარდიოლას გუნდში სათამაშო დროის დეფიციტით უკმაყოფილოა.

— ნებისმიერ ფეხბურთელს სურს თამაში და გამონაკლისი არც მე ვარ. სათამაშო პრაქტიკა მჭირდება, ბოლო წელიწადნახევარში კი, არც ისე ხშირად მითამაშია. ეს ერთადერთია, რაც მსურს. ვნახოთ, რა იქნება მომავალში, — აღნიშნა ფილიპსმა.



კელვინი „ლიდს იუნაიტედის“ აკადემიის აღზრდილია. „სიტიში“ იგი გასული წლის ზაფხულში გადავიდა. მიმდინარე სეზონში 27 წლის ფეხბურთელმა პრემიერლიგაში „ქალაქელების“ მაისურით მხოლოდ 3 მატჩი ჩაატარა. პორტალი „ტრანსფერმარკტი“ ფილიპსს 28 მილიონ ევროდ აფასებს.

# ბელგია არ ჩაითამაშებს შვედეთთან მატჩს და ფრეზე თანახმაა

ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა დირექტორმა მანუ ლეროიმ განაცხადა, რომ ბელგიის ნაკრები დაჟინებით არ მოითხოვს შვედეთთან 1:1-ზე შეწყვეტილი ევრო-2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩის ჩათამაშებას.

— გვსურს პატივისცემა გამოვუხატოთ შვედეთს ამ რთულ სიტუაციაში. მე დავუკავშირდები შვედეთის ფეხბურთის ფედერაციასა და უეფას, რათა ეს საკითხი განვიხილოთ. წმინდა სპორტულ დონეზე, ანგარიში 1:1 არ გვაწყობს, მაგრამ მატჩის ჩათამაშებას არ მოვითხოვთ. გარკვეულ მომენტში, პირველ ადგილზე ეთიკა და მორალი უნდა დადგეს, — განაცხადა ლეროიმ.

შეგახსენებთ, რომ 16 ოქტომბერს ბრიუსელში გამართული მატჩის მიმდინარეობისას ტერორისტული თავდასხმის შესახებ გახდა ცნობილი, რომელიც თამაშამდე დაახლოებით საათნახევრით ადრე ქალაქის ცენტრში მოხდა. ტერორისტმა შვედეთის ნაკრების 2 გულშემატკივარი მოკლა და ერთი დაჭრა. პირველი ტაიმის შემდეგ, 1:1-ის დროს გამოცხადდა, რომ თამაში შეწყდა და მატჩი აღარ გაგრძელდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ბელგიელებს ევრო-2024-ის ფინალური ეტაპის საგზური ამ შეხვედრამდე უკვე განაღდებული ჰქონდათ.

# საფრანგეთში ბენზემასთვის მოქალაქეობისა და ოქროს ბურთის ჩამორთმევა მოითხოვეს

## ფეხბურთელის ადვოკატმა ტერორისტულ ორგანიზაციასთან ქარიმის კავშირი უარყო

საფრანგეთის ნაციონალური საკრებულოს დეპუტატი ვალერი ბუაიე ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრ ჟერალდ დარმანენის სიტყვებს გამოეხმაურა, რომელმაც განაცხადა, რომ ფორვარდი ქარიმ ბენზემა მუსულმანურ ტერორისტულ ორგანიზაცია „ძმები მუსულმანებთან“ თავისი კავშირებითაა ცნობილი.



— თუ ეს სიმართლეა, ბენზემას წინააღმდეგ სანქციების გატარება უნდა განვიხილოთ. თუნდაც „ოქროს ბურთი“ ჩამოვართვათ, მაგრამ ეს წმინდა სიმბოლური რეაქციაა. ასევე, პირველ რიგში, მისთვის საფრანგეთის მოქალაქეობის ჩამორთმევაა აუცილებელი, — აღნიშნა ბუაიემ.

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ, ბენზემამ სოციალურ ქსელში ისრაელთან კონფლიქტში პალესტინას მხარდაჭერა გამოუხატა. გუშინ კი, ფეხბურთელის ადვოკატმა ჰუგო ვიჟიემ განაცხადა, რომ ბენზემამ შეიძლება, შინაგან საქმეთა მინისტრს სასამართლოში უჩივლოს.

— ეს ტყუილია. ბენზემას არასდროს ჰქონია კავშირი ტერორისტულ ორგანიზაციასთან „ძმები მუსულმანები“. მან საუდის არაბეთში გადაწყვიტა ცხოვრება, რომელმაც ეს ორგანიზაცია ტერორისტულად გამოაცხადა. საფრანგეთს კი, ეს არასდროს გაუკეთებია.. ჩვენ ამ მინისტრის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შეტანას განვიხილავთ. დაუშვებელია, რომ მათ, რომლებიც ქვეყანას მართავენ, ეგონოთ, რომ ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ, — განაცხადა ვიჟიემ.

# ბარსელონა ლევანდოვსკის შემცვლელად ხულიან ალვარესს განიხილავს

ესპანური „სპორტის“ ინფორმაციით, „მანჩესტერ სიტის“ ფორვარდმა ხულიან ალვარესმა შეიძლება, კარიერა „ბარსელონაში“ გააგრძელოს.



ცნობის თანახმად, „ბარსას“ დამრიგებელ ჩავის მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინელი ფეხბურთელი ძალიან მოსწონს და შეეცდება დაარწმუნოს კლუბის ხელმძღვანელობა, რომ „სიტის“ ალვარესის გამოსასყიდი 50 მილიონი ევრო გადაუხადოს. ჩავი მომავალში ალვარესს რობერტ ლევანდოვსკის მემკვიდრედ მოიაზრებს.

მიმდინარე სეზონში არგენტინელმა „მანჩესტერ სიტის“ რიგებში ყველა ტურნირზე ჩატარებულ 12 მატჩში 6 გოლი გაიტანა და 4 საგოლე პასი შეასრულა. ალვარესს „სიტისთან“ მოქმედი კონტრაქტი 2028 წლის ივნისამდე აკავშირებს.

ISSN 2720-8079
გაზეთი რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ №5988
მის: ჩუბინაშვილის ქ. №50.
ელ. ფოსტა sport_info@mail.ru